

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N15

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

26.04.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარმეიშვილი, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, დავით ადეიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კობა ძაგნიძე, თამარ შენგელია, ოლეგი მიქელთაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - ლუიზა ჯოგლიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- ლუბა გოგოძე.

მოწვეული პირი:

მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მალხაზი მამასახლისი.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 11³⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

- ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები (ს/კ 31.00.364)) შპს „დატაკომი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემასა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: /ზვიად კაპანაძე/

- სხვადასხვა.

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხზე მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მომხსენენბელმა აღნიშნა, რომ :

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მომხრე – 25

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

(დანართი: დადგენილება N110)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხზე მალხაზ მამასახლისმა (მოხსენებლის ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები (ს/კ 31.00.364)) შპს „დატაკომი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემასა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

„ მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები (ს/კ 31.00.364)) შპს „დატაკომი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემისას ქირის წლიური ოდენობა განსაზღვროს 680 (ექვსასოთხმოცი) ლარის ოდენობით“. წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები (ს/კ 31.00.364)) შპს „დატაკომი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემისას ქირის წლიური ოდენობა განსაზღვროს 680 (ექვსასოთხმოცი) ლარის ოდენობით“. წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები (ს/კ 31.00.364)) შპს „დატაკომი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემისას ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხრე – 25
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები (ს/კ 31.00.364)) შპს „დატაკომი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემასა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

(დანართი: განკარგულება N27 44)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ „სახვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე

